აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№89 (24.969) შაბათი, 20 - 22 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

გავერთიანდეთ და მომავალი წელი გავხადოთ დიდი საზეიმო წელი ევროპული საქართველოსთვის, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიმართვაშია ნათქვამი. სალომე ზურაბიშვილის თქმით, მომავალი წელი საქართველოსთვის გადამწყვეტი იქნება. „მინდა მივმართო საზოგადოებას, მივმართო მთავრობას, ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობას, პარლამენტს აქედან, დიდი ჯიხაიშიდან, რამეთუ მომავალ წელს ჩვენ უნდა ვიზეიმოთ ნიკო ნიკოლაძის დაბადების 180 წელი. ეს საიუბილეო წელია და ამავე დროს ჩვენთვის, საქართველოსთვის მომავალი წელი გადამწყვეტი წელი იქნება ჩვენს ევროპულ გზაზე“, - განაცხადა ზურაბიშვილმა.

* * *

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა მოუწოდებს საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, უზრუნველყოს, რომ ყველა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაცია მოწვეული იყოს და მიეცეს შესაძლებლობა არსებითი მონაწილეობა მიიღოს ყველა სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის ჩათვლით. „საარჩევნო კოდექსის“ გადასინჯვის თაობაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომლის პირველი შეხვედრაც პარლამენტში უკვე გაიმართა, „სამართლიან არჩევნებს“ მონაწილეობის ნება არ დართეს. მიზეზად ამ ორგანიზაციის მხრიდან ნეიტრალიტეტის დაკარგვა დასახელდა, როდესაც პრემიერ-მინისტრის გადაყენების თაობაზე მოთხოვნას შეუერთდა

* * *

ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების კუთხით დაწესებული უკანონო შეზღუდვები ნაწილობრივ შემსუბუქდება. ინფორმაციას ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს. უწყების ცნობით, ოკუპირებული ახალგორისა და ჯავის მუნიციპალიტეტების მოსახლეობას არსებული ე.წ. გამშვები პუნქტების გამოყენებით საოკუპაციო ხაზის კვეთის შესაძლებლობა ყოველი თვის 20 რიცხვიდან, თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით მიეცემა. აღნიშნული რეჟიმი ძალაში 2022 წლის 31 დეკემბრამდე იქნება.

* * *

„ქართული ოცნება“ რადიკალიზმზე ყოველთვის ახერხებს გამარჯვებას, ოპოზიციამ უნდა გადახედოს თავის სტრატეგიას, - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, პარტია „მოქალაქეების“ წევრმა ლევან იოსელიანმა, რითაც უპასუხა კითხვას ოპოზიციის მიერ დაანონსებულ აქციებთან დაკავშირებით. მისივე თქმით, 12 პუნქტის შესრულებაზე პასუხისმგებელი არის „ქართული ოცნება“, მაგრამ ერთი პარტია ვერ იქნება პასუხისმგებელი გაერთიანებაზე. ამას სჭირდება სხვა აქტორების თანხმობა.

მოამზადა
ია შველიძემ

ირაკლი ღარიბაშვილი ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა

პირისპირ შეხვედრაზე საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები მიმოიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ თანამშრომლობას სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო, ლოგისტიკისა და კულტურის სფეროში. ხაზი გაესვა არსებული მჭიდრო პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნიკოლ ფაშინიანს ერევანში მომხდარი ტრაგედიის გამო მიუსამძიმრა.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა საქართველოს მნიშვნელოვანი როლი და ძალისხმევა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში, მათ შორის, თბილისში გამართული სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ნიკოლ ფაშინიანმა რეგიონში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს.

თორნიკე რიჟვაძე: ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბათუმისთვის ავარიული სახლები და ამ სახლებში მცხოვრები 3000-ზე მეტი ოჯახის მდგომარეობაა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებაზე გამოხმაურებით დაიწყო 18 აგვისტოს აჭარის მთავრობის სხდომა, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე უძღვებოდა. როგორც ცნობილია, ომბუდსმენმა ნინო ლომჯარიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და ბათუმში დაგეგმილი მშენებლობების განსახორციელებლად დამტკიცებული დროებითი საგამონაკლისო წესის შეჩერება და არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა

- მთავრობის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებამდე, მინდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო ყურადღება. როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბათუმისთვის ავარიული სახლები და ამ სახლებში მცხოვრები 3000-ზე მეტი ოჯახის მდგომარეობაა. ის ღონისძიებები, რომელიც ტარდება ავარიული სახლების პროგრამის ასამოქმედებლად და სადაც ჩვენ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მაქსიმალური მხარდაჭერა გამოგვიხატა, სახალხო დამცველმა და ალბათ სახალხო უნდა მოვაშოროთ და „ნაცებთან“ შეზრდილმა, „ნაცების“ დამცველმა როგორც ყველა კარგ საქმეზე, იერიში მიიტანა და გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში. ჩვენ, რა თქმა უნდა, აუცილებლად დავიცავთ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს, თუმცა ამავე დროს მინდა განმარტება გავაკეთო, რომ არავის მივცემთ ამ მართლაც მნიშვნელოვანი ქალაქისთვის ყველაზე მთავარი პროგრამის დაზიანების, დისკრედიტაციის და მით უმეტეს, გაჩერების შესაძლებლობას. ახლა რაც შეეხება ამ ისტორიული პროგრამის ამოქმედების შედეგებს - ბათუმის მუნიციპალიტეტმა შესაბამის ორგანოებთან ერთად მოახერხა

დაეწყო ოთხი პროექტი იმ ფინანსური რესურსით, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყო. დაახლოებით 200-ზე მეტი ოჯახი მერიის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში მიიღებს შესაბამის საცხოვრისს. მინდა მოვუწოდო სამშენებლო სექტორს, დეველოპერულ სექტორს, მაქსიმალურად მალე მიაღწიონ შეთანხმებას მოსახლეობასთან, რომ შევძლოთ ამ პროგრამის კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით ამოქმედება. სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პროგრამა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, გეგმა, რომ 2025 წლისთვის ყველა ოჯახი დაკმაყოფილდეს, უნდა იქნას მიღწეული როგორც მთავრობის, ასევე კერძო სექტორის და მერიის აქტიური ჩართულობით, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

რეგიონის პირველმა მეთაურმა ტურისტული სეზონიც შეაფასა.

იხ. გვ-4 გვ.

ღირსეულთა შორის ღირსეული

5

«ნებისმიერი ადამიანისგან შეიძლება, რაღაც ისწავლო»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ეროვნული გმირის სახელობის ტურნირი – კალათბურთში

ბათუმში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელობის ტურნირი კალათბურთში. შეჯიბრება ქუჩის კალათბურთის პრინციპით, სამი-სამზე ჩატარდა და მასში საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების გუნდები მონაწილეობდნენ

ტურნირის მეორე ეტაპის გახსნით თამაშებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე და თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი კობა გრიგოლია დაესწრნენ. მათ სამხედროებს ასპარეზობისთვის მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს. წელს ტურნირში პირველად ჩაერთნენ ეროვნული გვარდიის რეზერვისტებიც. გამარჯვებულმა გუნდმა გიორგი ანწუხელიძის სახელობის გარდამავალი თასი მიიღო, ხოლო საპრიზო ადგილების მფლობელები შესაბამისი მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირი 2020 წელს ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაარსდა და ეროვნული გმირის დაბადების დღის თარიღთან დაკავშირებით, სიმბოლურად, გიორგი ანწუხელიძის სახელი ეწოდა. „3X3“ კალათბურთში ჩემპიონატი საქართველოს თავდაცვის ძალების ორგანიზებითა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით ყოველი წლის აგვისტოს თვეში ტარდება.

18 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ გმირს, უფროს სერჟანტ გიორგი ანწუხელიძეს 38 წელი შეუსრულდებოდა. იგი IV ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე იყო. გიორგი ანწუხელიძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“, მინიჭებული აქვს ეროვნული გმირის წოდება, მის სახელს ატარებს სერჟანტთა აკადემია.

ია შველიძე

ევროპის პირადი ჩემპიონატი- ჭადრაკში

პრაღაში სტარტს აიღებს რიგით 22-ე ევროპის პირადი ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. ასპარეზობაში 7 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს.ესენია ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, ლილე ქორიძე, დიანა ლომაია, ელენე წოწონავა.

ჩემპიონატის პირველი ტური 21 აგვისტოს, ხოლო ბოლო ტური 31 აგვისტოს გაიმართება. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით - 11 ტურად ჩატარდება 27 ქვეყნის 125 მოჭადრაკეს შორის.

ქართველი მოჭადრაკეები ჩემპიონატის უპირობო ფავორიტები არიან, ასპარეზობის რეიტინგ-ლისტის პირველ ოთხეულში ერთბაშად სამი ქართველი მონაწილეა, ხოლო სიის სათავეში ევროპის 2017 წლის ჩემპიონი და 2018 წლის ვერცხლის პრიზიორი ნანა ძაგნიძეა.

ჩემპიონატში მონაწილე ქართველებიდან წარსულში ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები იყვნენ სალომე მელია (ვერცხლი-2013; ბრინჯაო-2014) და ნინო ბაციაშვილი (ვერცხლი-2015 წ.)

ახლახან ინდოეთის ქალაქ ჩენაიში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

ანკა ჩხიკვაძე

„ტენდენცია დადებითი და კეთილსაიმედოა“

ბოლო პერიოდის განმავლობაში, ტენდენცია დადებითი და კეთილსაიმედოა, შემთხვევების რაოდენობა მცირდება, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ გაბუნიამ განაცხადა

მისი განმარტებით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აგრძელებს აქტიურ მეთვალყურეობას კოვიდის შემთხვევების გავრცელების დინამიკაზე.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამარ გაბუნია განმარტავს, აღნიშნული პროგნოზი საერთაშორისო ინსტიტუციების შეფასებას ემყარება.

„ამდენად, სხვა სუბიექტური შეფასებები საფუძველს მოკლებულია და მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის შეფასებებისგან, როგორც ჯანდაცვის პროფესიონალებმა, ისე რიგითმა მოქალაქეებმა, თავი შევიკავოთ“, - აღნიშნა თამარ გაბუნიამ.

ია შველიძე

სამოქმედო გეგმა მზადდება

დაიწყო მტირალას მთისა და სოფელ ყოროლისთავის ტურისტული განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მომზადება. პროექტი UNDP-ის, ევროკავშირის მხარდაჭერით და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინიციატივით კეთდება

მის ფარგლებში შეიქმნება ლოკაციებზე საჭირო ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტებიც, მოინიშნება ტურისტული ბილიკები, მომზადდება რეკომენდაციები საოჯახო სასტუმრო სახლებისა და სოფლის მეურნეობების განვითარების პროექტებზე.

ანკა ჩხიკვაძე

არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა

ქედის მუნიციპალიტეტის, მერისის (მდინარე აკავრეთას) ხეობაში, კერძოდ, სოფელ ნამონასტრევში, რამდენიმე დღეა არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა, რომელიც აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობს (ექსპედიციის ხელმძღვანელი ნარგიზ სურმანიძე)

შარშან, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღნიშნულ ტერიტორიაზე, დარბაზული ტიპის ნაეკლესიარი (ქვევრის, კეცის, ქოთნის და დოქის ნატეხები და თითქმის მთლიანად დაცული თიხის სასანთლე) გამოვლინდა.

ამ ეტაპზე კვლევები წარმოებს ნაეკლესიარის აღმოსავლეთ და სამხრეთ მონაკვეთში. გამოიკვეთა კლდოვანი მასივი, რაც აქ, სავარაუდოდ, სამარხების არსებობას გამორიცხავს. პარალელურად მიმდინარეობს ნაეკლესიარის მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა.

ანკა ჩხიკვაძე

ხიდთან შექმნილ საცობებს აპროტესტებენ

„ნაციონალური მოძრაობის" წევრები ქალაქის შემოსასვლელში არსებულ საცობს აპროტესტებენ.

რეზო ხარაზმა განცხადება ხიდთან გააკეთა და აღნიშნა, რომ მოძრაობის შეფერხებას თამარის დასახლებაში არსებული ხიდი ქმნის, რომლის მშენებლობაზე 2 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული. რეზო ხარაზის თქმით, პროექტი არ აკმაყოფილებს საგზაო ინფრასტრუქტურის სტანდარტს, რაც ქმნის ქაოსურ ვითარებას.

საქართველოს გზების დეპარტამენტში აბსურდულს უწოდებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის განცხადებას. მათი თქმით, ხიდი სრულად აკმაყოფილებს საგზაო ინფრასტრუქტურის სტანდარტს, საცობებს კი სეზონთან დაკავშირებით გაზრდილი მგზავრთა ნაკადი ქმნის.

საავტომობილო გზებზე შექმნილ საცობებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა. ირაკლი ქარსელაძის განცხადებით,

გზების გადატვირთვა კონკრეტულ წერტილებში არ ახალია და სწორედ ამიტომ ხორციელდება პროექტები, რომლებიც ამ თუ მომდევნო წლებში დასრულდება, რაც უზრუნველყოფს მსგავსი მონაკვეთების განტვირთვას.

ანკა ჩხიკვაძე

წლის პირველი ნახევარი – რეკორდული მოგებით

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

საქართველოს რკინიგზის განცხადებით, კომპანიამ 2022 წლის პირველი ნახევარი 161 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა, რაც რეკორდული მაჩვენებელია

ოფიციალური ინფორმაციით, საოპერაციო შემოსავლები 12%-ით გაიზარდა და 311 მილიონი ლარი შეადგინა. გაუმჯობესებული მაჩვენებლები გადაზიდვების რეკორდული ზრდითა და სამგზავრო გადაყვანების მატებით არის გამოწვეული.

რაც შეეხება, თანამშრომლების ხელფასებსა და სხვა ხარჯებს, მათი ჯამური მაჩვენებელი 97 მილიონი ლარია. 2021 წლის მე-3 კვარტალში კომპანიამ 12000-ზე მეტ დასაქმებულს ხელფასი გაუზარდა, რაც სახელფასო ხარჯებში აისახა, ხოლო საშუალო ხელფასმა 1300 ლარზე მეტი შეადგინა.

წმინდა ფინანსურმა შემოსავალმა 59 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია 2021 წლის რეფინანსირების შედეგად შემცირებული საპროცენტო ხარჯითა და ლარის გამყარებით დოლართან მიმართებაში. ასევე გაუმჯობესდა ლიკვიდურობის მაჩვენებელიც. ორგანიზაციის ბალანსზე 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არსებული ფულადი სახსრები 252 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არსებულ ფულადი სახსრების ბალანსს - 68 მილიონი ლარით, ხოლო 2021 წლის ბოლოსთვის არსებულ ფულად სახსრებს - 40 მილიონი ლარით აღემატება.

„ეს ხიდი გვაძლიერებს ჩვენ, ჩვენს ქვეყნებს, მთლიანად რეგიონს“

საქართველო-სომხეთის საზღვართან, მდინარე დებედაზე, 160 მეტრი სიგრძის 4-ზოლიანი ახალი საავტომობილო ხიდი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა გახსნეს

გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრებს, სომეხ კოლეგას მიესალმა და აღნიშნა, რომ მოხარულია საქართველოში მისი მასპინძლობით. მან ორ ქვეყანას შორის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას გაუსვა ხაზი და განაცხადა: „ჩვენი ურთიერთობა არა მხოლოდ ძმობის და მეგობრობის მაგალითია, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი წინაპირობა მთლიანად რეგიონის კეთილდღეობის, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის. მეგობრობის ხიდი, რომელიც ერთად ავაშენეთ, ჩვენი თანამშრომლობისა და მეგობრობის წარმატებას განასახიერებს.

ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე, ერთობლივად აშენებული, თანამედროვე სტანდარტებისა და პარამეტრების ხიდი რეგიონში უნიკალური პროექტია. მისი ექსპლუატაციაში შესვლის შედეგად ორმაგდება საზღვარზე ტრანსპორტის გამტარობა. უმჯობესდება საგზაო უსაფრთხოების ხარისხი როგორც ორი ქვეყნის მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის, ისე სატრანზიტო ავტოტრანსპორტისთვის, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაძლიერებას. მინდა აღვნიშნო, რომ ხიდი არა მხოლოდ სომხეთისა და საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის იქნება სასარგებლო, არამედ იგი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს ჩვენს ქვეყანაში საგზაო დერეფნის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, უკვე აშენებული გვაქვს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის ნახევარი, ხოლო სულ რაღაც 2 წელიწადში მისი ყველა ძირითადი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდება. ასეთი მასშტაბური პროექტების კონტექსტში კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რა თქმა უნდა, გამშვები პუნქტების თანამედროვე სტანდარტების ხიდის ფუნქციონირებაც. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ორი მეგობარი ქვეყნის თანამშრომლობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადგომა, მინდა, მადლობა გადავუხადო ბანკის წარმომადგენელს. ამ პროექტისთვის გამოიყო დაახლოებით 7 მლნ ევროზე მეტი. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო პირადად ბანკის ხელმძღვანელობას, სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიებს, ორივე მხარის სამთავრობო უწყებებსა და პროფესიონალთა გუნდს, პროექტის ავტორებს, ინჟინრებს, მშენებლებს, ყველას, ვინც ჩართული იყო ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში. შეიძლება ითქვას, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის ახალი ხიდი ავაშენეთ და დღეს ჩვენ ამას ოფიციალურად ვზეიმობთ. ეს ხიდი გვაძლიერებს ჩვენ, ჩვენს ქვეყნებს, მთლიანად რეგიონს, ამიტომ კიდევ ერთხელ გილოცავთ, მადლობას მოგახსენებთ, ვუსურვებ ჩვენს ქვეყნებს მშვიდობას, ჩვენს ხალხს - კეთილდღეობას და წინსვლას!“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თავის მხრივ, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ხიდის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ დღეს ყველა საჭირო წინაპირობა არსებობს, სომხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების შესაბამისად, ძმურ საქართველოსთან შემდგომი ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. მისივე თქმით, ამჟამინდელი ურთულესი გამოწვევების პირობებში, სომხურ-ქართულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში თვალსაჩინო ზრდა დაფიქსირდა. „საქართველოს, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას, დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთისთვის ენერგორესურსების, კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციების საიმედო და უსაფრთხო მიწოდების მხრივ. ასევე უნდა აღვნიშნო, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, ყოველდღიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამის უწყებებსა და სტრუქტურებს შორის. საჭიროა, ორ ქვეყანას შორის განვითარდეს სასაზღვრო თანამშრომლობა, რაც საპრევენციო ღონისძიებებში გამოგვადგა კოვიდის პერიოდში. ჩვენს ქვეყნებს შორის საჭიროა კულტურულ-ჰუმანიტარული, ტურიზმის სფეროებში ერთობლივი პროექტების და ერთობლივი ტურისტული პაკეტების შეთავაზება. სომხეთის და საქართველოს რეგიონებს შორის დეცენტრალიზაციის მიმართულებით მინდა აღვნიშნო, რომ აქ გვაქვს დიდი შესაძლებლობა და უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო პროექტები. მნიშვნელოვანია ასევე, გარემოს დაცვის, დასაქმების, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროებში შემდგომი ურთიერთობების განვითარება. უნდა გვაააქტიუროთ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება და ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება. პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, ამ ყველაფრის განსახორციელებლად საჭიროა უწყებათაშორისი შეხვედრები, მჭიდრო კავშირები, ამიტომ გაადვილებული უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობა, რასაც ხელს შეუწყობს ეს ხიდი. მადლობას ვუხდი ყველა ჩართულ მხარეს, ვინც განახორციელა ეს დიდი პროექტი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ძალისხმევა დადებით შედეგს გამოიღებს და ურთიერთსასარგებლო საქმიანობაში ხელს შეგვიწყობს. ყველას ვუსურვებ წარმატებას ჩვენი ქვეყნების სასარგებლოდ“, - განაცხადა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, მდინარე დებედაზე ახალი, ე.წ. მეგობრობის ხიდი საქართველომ და სომხეთის რესპუბლიკამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით, ერთობლივად ააშენეს. ხიდის მშენებლობისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ორ ქვეყანას ჯამში 7,4 მილიონ ევრომდე გამოუყო. ერთობლივი ხიდი რეგიონში უნიკალური ტრანსსასაზღვრო პროექტია, რადგან ხიდის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ნაწილი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ახალი, თანამედროვე სტანდარტებისა და პარამეტრების ხიდის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, გაუმჯობესდება საგზაო უსაფრთხოების ხარისხი როგორც ორი ქვეყნის მოქალაქეებისა და სტუმრებისათვის, ისე სატრანზიტო ავტოტრანსპორტისთვის. ძველ ხიდთან შედარებით, ორმაგდება ახალი ხიდის გამტარობა, რაც ეფექტური სასაზღვრო და საბაჟო მომსახურების პირობებში, მნიშვნელოვნად გაზრდის ორ მეზობელ ქვეყანას შორის როგორც სატვირთო მიმოსვლას, ისე ტურისტების გადაადგილებას და ხელს შეუწყობს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას.

ხიდის ოფიციალური გახსნის ცერემონიას საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გახსნის ცერემონიის შემდეგ, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ახალი საავტომობილო ხიდი დაათვალიერეს.

მოამზადა
ელენე საყვარელიძემ

უკრაინა

ოკუპანტებმა მიკოლაივის ოლქი „სმერჩის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემიდან დაბომბეს. სოფელ გალიცინოვოში დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, დაინგრა სახანძრო სამსახურის შენობა, განადგურდა სახანძრო მანქანა და დაშავდა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე, ქალაქ მიკოლაივში კი ოკუპანტებმა საპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მიიტანეს იერიში. თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა ან დაღუპულა. უკრაინული მედიის ცნობით, მიკოლაივის ოლქში, ომის დაწყებიდან, 9,1 ათასზე მეტი სამოქალაქო ობიექტი დაზიანდა.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში 73 ოკუპანტი და მტრის აღჭურვილობა გაანადგურეს, - ინფორმაციას ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ ავრცელებს. „ჩვენმა სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა შეასრულეს 200-ზე მეტი საცეცხლე ამოცანა, მათ შორის ჩაშალეს მტრის გეგმები კახოვკის ხიდის შეკეთებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. მათივე ცნობით, გასული დღის განმავლობაში უკრაინელმა სამხედროებმა გაანადგურეს, ასევე 2 ტანკი, ოთხი გამშვები მოწყობილობა და ერთი სარადარო სადგური S-300 საჰაერო თავდაცვის სისტემისთვის, 5 ერთეული ჯავშანტექნიკა და საავტომობილო ტექნიკა, საბრძოლო მასალის ერთი საცავი.

* * *

რუსეთმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა დაუშვას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურში და ასევე დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაიყვანოს თავისი ჯარები აღნიშნული ტერიტორიიდან, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკის განაცხადა. მისი თქმით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისიას ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე უსაფრთხოდ მოხვედრა მხოლოდ უკრაინის თავისუფალი ტერიტორიის გავლით შეუძლია. „არ არსებობს ობიექტური დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისიას ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურამდე მიღწევაში. მე და ბატონმა გუტერეშმა განვიხილეთ ამ მისიის პარამეტრები და ის ფაქტი, რომ მისიას შეუძლია ელექტროსადგურზე ძალიან სწრაფად და საკმაოდ უსაფრთხოდ მოხვედრა ჩვენი სახელმწიფოს თავისუფალი ტერიტორიის გავლით“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

ესტონეთის მთავრობამ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი დაამტკიცა. მედიის ინფორმაციით, ესტონეთი უკრაინისთვის ნაღმტყორცნებისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის გაგზავნას გეგმავს. გარდა ამისა, ქვეყანა მხარს დაუჭერს უკრაინის შეიარაღებული ძალების მომზადების პროცესს, რომელიც ინიცირებულია გაერთიანებული სამეფოს მიერ, გერმანიასთან თანამშრომლობით კი უკრაინაში საველე ჰოსპიტალს გაგზავნის. „მიუხედავად იმისა, რომ უფრო და უფრო მეტი დასავლური იარაღი აღწევს ბრძოლის ველზე, ჩვენი მორალური პასუხისმგებლობაა, გავაგრძელოთ უკრაინის მხარდაჭერა. ისინი იბრძვიან ჩვენი საერთო ღირებულებებისთვის და თუ რამე შეგვიძლია გავუგზავნოთ უკრაინელებს, უნდა გავაკეთოთ ეს“, - განაცხადა ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა ჰანო პევკურმა. ესტონეთმა უკრაინას, ჯამში, თითქმის 250 მილიონი ევროს ღირებულების სამხედრო დახმარება გაუწია, მათ შორისაა „ჭაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემის რაკეტები, ჰაუბიცები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები, ნაღმტყორცნები, სხვადასხვა იარაღის საბრძოლო მასალა, მანქანები, საკომუნიკაციო აღჭურვილობა და სამედიცინო ინვენტარი.

* * *

უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქი ხარკოვი, ერთ-ერთია, რომელიც უკრაინაში რუსეთის შეჭრის დაწყების შემდეგ რეგულარულად ყველაზე მეტად იბომბება, - აღნიშნულია გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში. მათივე შეფასებით, მრავალჯერადმა სარაკეტო გამშვებებმა და ზოგადად არაზუსტმა იარაღმა ქალაქის დიდი ნაწილის განადგურება გამოიწვია. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ხარკოვში რუსული ძალები აგრძელებენ დარბევებსა და უკრაინული ძალების დაბომბვას, რისი მიზანიც, სავარაუდოდ, ის არის, რომ აიძულონ უკრაინა ამ ფრონტზე ძალები შეინარჩუნოს და ისინი სხვაგან კონტრშეტევისთვის ვერ გამოიყენოს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უცხოეთი

2022 წლის 23 აგვისტოს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ონლაინრეჟიმში მონაწილეობს „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტში, - ინფორმაციას ალიანსის პრესსამსახური ავრცელებს. „ყირიმის პლატფორმა“ არის უკრაინის მიერ 2021 წელს ინიცირებული კონსულტაციებისა და კომუნიკაციების ფორმატი, რომლის უმთავრესი მიზანია ნახევარკუნძულის დეოკუპაცია. „ყირიმის პლატფორმის“ პირველი სამიტი 2021 წლის 23 აგვისტოს კიევში გაიმართა და მასში მონაწილეობა 40-ზე მეტი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიღეს.

* * *

ჩემი ქვეყანა უკრაინაზე თავდასხმას არ აპირებს და არც თანამემამულეების ომში გაგზავნას ვგეგმავ, - ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა. „არ იფიქროთ, რომ აქ რაიმე სახის თავდასხმას ვგეგმავ: ჩვენ დავბომბავთ უკრაინას ბელარუსის ტერიტორიიდან და ა. შ. არ მაქვს სურვილი, თქვენმა და ჩვენმა შვილებმა იომონ. უნდა დავმშვიდდეთ“, - აღნიშნა ლუკაშენკომ. მისივე თქმით, „დღეს არავითარი უკრაინა არ ომობს, დღეს ნატოს მთელი ბლოკი და ამერიკაა, უბირველეს ყოვლისა, ომში რუსეთთან“. მას მიაჩნია, რომ ევროპა დიდი ხნის წინ შეაჩერებდა ამ ომს, თუ აშშ არ გააგრძელებდა საომარი მოქმედებების წახალისებას პოლონეთის დახმარებით. ლუკაშენკოს თქმით, მისი ქვეყანა გახდა თავშესაფარი ათასობით უკრაინელისთვის, რომლებიც ბელარუსის მოქალაქეობას იღებენ. „ეს ჩვენი ხალხია. ჩვენ მათ არ უნდა ვაწყენინოთ“, - დასძინა ბელარუსის პრეზიდენტმა.

* * *

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა უკრაინელ კოლეგა ვოლოდიმირ ზელენსკის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის თურქეთში გამართვა შესთავაზა. „მე განვაცხადე, რომ ჩვენ გავაგრძელებთ ომის დიპლომატიური და მოლაპარაკებების გზით დასრულებაში წვლილის შეტანას. სწორედ ისე, როგორც სოჭში ვიზიტის დროს პუტინს ვუთხარი, ზელენსკის შევახსენე, რომ შეგვიძლია ვუმასპინძლოთ მათ შორის შეხვედრას“, - განაცხადა ერდოღანმა უკრაინის ქალაქ ლვოვში ვოლოდიმირ ზელენსკის და გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტერეშთან შეხვედრის შემდეგ.

* * *

ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „დიდი ოცეულის“ სამიტს დაესწრებიან, - განაცხადა ინდონეზიის პრეზიდენტმა ჯოკო ვიდოდომ. ინდონეზიას, რომელიც წელს „დიდი ოცეულის“ თავმჯდომარე ქვეყანაა, დასავლეთის ქვეყნებმა არაერთხელ მოუწოდეს, გაეუქმებინა ვლადიმერ პუტინის სამიტზე მიწვევა მისი ქვეყნის უკრაინაში შეჭრის გამო. აღსანიშნავია, რომ ინდონეზიამ სამიტზე უკრაინის ლიდერი ვოლოდიმირ ზელენსკიც მიიწვია. ვიდოდო უკრაინასა და რუსეთს შორის შუამავლის როლის შესრულებას ცდილობს. გლობალური სასურსათო კრიზისის შემსუბუქების მიზნით, ბოლო თვეების განმავლობაში ის ორივე ქვეყნების პრეზიდენტებს შეხვდა. „დიდი ოცეულის“ სამიტი ნოემბერში, კუნძულ ბალიზე გაიმართება.

მოამზადა
ია ფფელიძემ

«როცა ადამიანები ჩვენი დახმარების იმედად არიან, მათთვის ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საპარლამენტო არდადეგები მაჟორიტარ დეპუტატებს არ ანებივრებს - მასიურ ღონისძიებებში მონაწილეობა, ამომრჩევლებთან ინდივიდუალური შეხვედრები, კომიტეტების მუშაობაში ჩართულობა... მათ საქმიანობა ეფექტურსა და ამომრჩეველთა წინადადებების, სურვილების შესრულებისკენ სწრაფვას ითხოვს. ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მაჟორიტარ დეპუტატს ანზორ გოლეთიანს, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია, «შუამთობაზე» შევხვდით.

- პანდემიამ თანდათანობით უკან დაიხია. მუნიციპალიტეტებში მასიურმა ღონისძიებებმა იმატა. ალბათ აგვისტო ასე ჩაივლის. «შუამთობის» კვირეული მავალდებულებდა, მონაწილეობა მიმეღო სარიჩაირში, ჩირუხში, ბეშუმში, ზოტიყელში გამართულ ზეიმებში. გამორჩეული იყო წლევანდელი «შუამთობა». ეს სახალხო დღესასწაული თავისი შინაარსით, ეთნოგრაფიული თუ იდეური ხასიათით, მთიელი კაცის განწყობას წარმოაჩენს. ოდითგანვე ქორწილი, ნიშნობა, სხვა რიტუალები მისი თანმდევი იყო. დავინახე, რომ ადამიანებს ერთმანეთის მოფერება, სითბოსა და სიყვარულის გაზიარება მონატრებული ჰქონდათ. ჩირუხში, ბეშუმში, ზოტიყელში უცხოელი მეგობრებიც ჰყავდათ მოპატიჟებული.

- თქვენი და თვითმმართველი ორგანოების თანადგომა როგორი იყო?

- უფლის ნებითა და თვითმმართველი ორგანოების თანადგომით «შუამთობის» კვირეული მშვიდობიანად დასრულდა. გვახსოვს წინა წლების ტრაგიკული შემთხვევები. ახლა ყველა საავტომობილო გზა მოწესრიგებულია, ტრანსპორტი გამართულად მუშაობს, წესრიგის დამცავები - ოპერატიულად. არაფერს ვიტყვი კურორტ ბეშუმის, გოდერძის უღელტეხილის შემოგარენში არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ ზოტიყელში, თაგინურზე, სარიჩაირში, ჩირუხში მისასვლელი საავტომობილო გზების გარკვეულ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის საფარია დაგებული. ერთ დროს პრობლემა იყო მასიური ღონისძიებებისთვის სცენის მოწყობა. შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები თანდათანობით ამ პრობლემებსაც დაძლევენ. უკვე დასრულდა საზაფხულო საძოვრებზე დენის გაყვანა. ჩირუხში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ტურისტული ლოკაციები ეწყობა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით სარიტუალო ცენტრი გაკეთდება ზოტიყელსა და თაგინურზე, სპორტული მოედნები - მთა ღომასა და ზოტიყელში.

- რამდენად ხართ ჩართული მიმდინარე პროექტების განხორციელებაში?

- ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა თანადგომა რომა არა, ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირებები დაპირებად დარჩებოდა. ჩაქცევის პირას იყო შუახევის კულტურის ცენტრის შენობა, მუნიციპალიტეტის ცენტრში არსებული სპორტული არენა თანამედროვე მოთხოვნებს მინიმუმამდე ვერ აკმაყოფილებდა. კეთილმოსაწყობი იყო დაბა ქედის ცენტრი, ხულოში სპორტული დარბაზის სივიწროვეს უჩივიან... სწორედ ჩვენი ჩართულობით ეს მნიშვნელოვანი პროექტები მალე დასრულდება.

- გასული საუკუნის 90-იან წლებში თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლში მცხოვრებ ჩვენებურებთან დაწყებული ურთიერთობები სხვებთან ერთად, თქვენც გაამყარეთ...

- უცხოეთის არცერთ ქვეყანაში ისე არაა დაცული ეროვნებით ქართველის ინტერესი, როგორც თურქეთში. «ჩვენებურების ფესტივალი», ქართველებით დასახლებულ ქალაქებში ქართული ენის შემსწავლელი წრეების გახსნა მრავლის მთქმელია. ქართული ანსამბლები მიწვეული იყვნენ ამ ქვეყანაში გამართულ «ჩვენებურების», მსოფლიო ფესტივალებზე. «შუამთობის» დღეებში ბეშუმში, ჩირუხში, ბათუმში ნახეს ინეგოლის კავკასიური კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის «ჩვენებურების» მიერ შესრულებული ქართული ცეკვები (ქორეოგრაფი ენერ ქორქმაზი, ხელმძღვანელი მენან ფორთოქალი (ფუტკარაძე).

- ორი რეგიონი - აჭარა და გურია მთითა და ბარით, ფოლკლორითა და ეთნოგრაფიით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთო კურორტები - ბახმარო და გომის მთა. უახლოეს პერიოდში რა ერთობლივი პროექტები განხორციელდება?

- იყო დრო , როცა გომის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე, თაგინურის მთაში ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებიდან 1500-მდე ოჯახი ზაფხულს ატარებდა. ახლა მათი რაოდენობა ოდნავ შემცირებულია. ღორჯომის, ჭვანის ხეობიდან 800-ზე მეტი ოჯახი ზაფხულს კურორტ ბახმაროს შემოგარენში (ზოტიყელი, კატრიანი, გრძელგორი, შედრეკილი) არსებულ მთებში ატარებს. მეცხოველეები მთელი ზაფხულის განმავლობაში კურორტზე მყოფთ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამარაგებენ. ქვეყნის მთავრობა, მთის კურორტების კომპანია გეგმავს ბახმარო-გოდერძის ბაგირგზის მშენებლობას. გასულ ზამთარში ექსტრემალები ბახმაროდან გომის მთაში «კეზბოლერებით» გადაადგილდებოდნენ. ეს მარშრუტი მალე ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. შუალედურ ტერიტორიად ზოტიყელსა და მერიაყელს მიიჩნევენ. პროექტების დასრულების შემდეგ, როგორც გურიის, ისე აჭარის მკვიდრები სამუშაოს გაიჩენენ.

- პარლამენტი მუშაობას რომ განაახლებს, რა მნიშვნელოვანი კანონების მიღების მოლოდინში უნდა ვიყოთ?

- ის 12-პუნქტიანი მოთხოვნა, რომელიც ევროკომისიამ ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად დაუწესა, რიგი კანონებისა და ქვემდებარე აქტების დახვეწას მოითხოვს. კომიტეტებში უკვე საქმიანი მსჯელობაა სასამართლოების შესახებ კანონის მიღებაზე.

- ოპოზიციისგან რას უნდა ველოდოთ?

- ისევ სხდომაზე დაუსწრებლობას, რიგი კანონების მიღებაზე ბოიკოტს. მმართველი პარტიის მხარდამჭერ პარლამენტარებს ქვეყნის, საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების, სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევართა ბედი გვაინტერესებს. «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა» და მისი სატელიტი პარტიები არეულობას, ქაოსს აანონსებენ, რაც არ გამოუდით. საწადელს რომ ვერ აღწევენ, უფრო ღიზიანდებიან.

- თქვენი პოზიცია რუსეთთან ომში ჩართვაზე?

- ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკაა. ჰყავს ლეგიტიმურად არჩეული პარლამენტი, ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული მთავრობა. ჩვენი კურსი მშვიდობიანი თანაარსებობაა. სხვისი კარნახი ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს.

- ამ საკითხზე მემორანდუმი რომ ჩატარდეს?

- არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკის გამტარებლებმაც გამოკითხვები ჩაატარეს და უმრავლესობის აზრია მშვიდობიანი პოლიტიკის გატარება. უცხოელი, მათ შორის, საქართველოს მეგობარი ქვეყნები, მიესალმებიან ჩვენი ქვეყნის აქტიურ პოზიციას კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

- რუსეთი რომ ოკუპაციას აგრძელებს?

-სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში ძმათამკვლელი ომის მომსწრენი გავხდით. ამ ომში უკრაინელი ხალხი გაიმარჯვებს, ვერ დაასამარებენ, დამოუკიდებლობას ვერ წაართმევენ მათ. დასანანია, რომ ძმა ძმას არ ინდობს. ამ შემთხვევაში ჩვენ მეტი პოლიტიკური სიფრთხილე გვმართებს, რასაც ქვეყნის ხელისუფალი თავს წარმატებით ართმევს.

- ზემო აფხაზეთში ყველას დაამახსოვრეთ თავი კეთილგონიერებითა და კაცთმოყვარეობით. გაწყდა ეს ურთიერთობები?

- ჟორა სამსლიანი, პირიბე ჯაჭვლიანი, გენწვისის საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსახლეობა თავის დროზე დიდი მოკრძალებით და პატივისცემით მექცეოდა. დადგება დრო და ჩვენ სამეგობრო სუფრას ისევ ერთად მივუსხდებით კოდორში, გალის რაიონში, კელასურში... ის მავთულხლართები, რომელიც საქართველოს უძველეს ტერიტორიას გვაშორებს, აღარ იქნება. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ძმები ერთმანეთს დაგვაშორა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უფალი არ აპატიებს ამ ბოროტებას. საქართველო ჩვენამდე თაობებმა მოიტანა. ახლა ყველას ვალია, თაობებს ერთიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა დავუტოვოთ.

- დიდია თქვენი წვლილი ხულო-გოდერძი-ზარზმის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაში. ხულო-დიდაჭარის მონაკვეთზე სამუშაოები რატომ შეყოვნდა?

- კომპანია «მამისონს» პრობლემები აქვს. დაწყებულ საქმეს ვეღარ მივატოვებთ, ეს ერთობ გაჭიანურებული პროექტი კუთხისა და ქვეყნის სასარგებლოდ დასრულდება.

- კულტურის ცენტრებთან, სკოლებთან არსებულ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, შემოქმედებით მუშაკებს, სპორტსმენებს მატერიალურ თანადგომას უწევთ. რის ხარჯზე?

- იმ დიდი სამეგობროს თანადგომით, რომელიც 60 წლის განმავლობაში შევიძინე. მაშინაც კი, როცა ქვეყანას უჭირდა, მეცენატ თეიმურაზ კომახიძის ინიციატივით, ხიხანის ციხეზე მისასვლელი გზა-ბილიკი გავაკეთეთ. ამ ციხის ხილვით უცხოელმა და ადგილობრივმა ვიზიტიორებმა საქართველო უკეთ გაიცნეს. ჩვენი დაწყებული საქმეები ისევ ჩემი ჩართულობით გრძელდება. წელს მისასვლელი გზა-ბილიკისა და კიბეების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. ცნობილი მეცნიერების, არქეოლოგების რეკომენდაციის შესაბამისად, მთავრდება ციხის ნანგრევების რესტავრაცია-კონსერვაცია. ციხესთან მისასვლელი, თუნდაც სხალთის ხეობაში არსებული საავტომობილო გზები მიუვალი იყო. ჩემი უშუალო ჩართულობით, ახლა ყველა სახის ტრანსპორტით შეიძლება ციხის ასასვლელამდე მგზავრობა. ტურისტულ სააგენტოებთან შეთანხმებით, უკვე მოქმედებს ჩირუხი-სარიჩაირი-თეთრობი-გოდერძის უღელტეხილის საავტომობილო მარშრუტი. მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანებით, ისიც გვალვიან ამინდში იყო შესაძლებელი მიმოსვლა გოდერძი-მწვანე ტბა-დიდაჭარის მთის მიმართულებით. ახლა ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარია დაგებული და მნახველიც არ აკლია. მრავალს სასაცილოდ არ ეყო, როცა ჩემი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, გოდერძის ალპურ ბაღში აჭარის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარესთან ზურაბ პატარიძესთან ერთად ხეები დავრგეთ. 10 ჰექტარი ტერიტორია ახლა ავ თვალს არ ენახება. კულტურის მუშაკებს, დამწყებ მწერლებსა და პოეტებს, სპორტსმენებს თანადგომას რომ ვუწევ, ისინიც ფესტივალებზე, კონკურსებსა და ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებით გვახარებენ. არც იმ ადამიანებს ვტოვებ უყურადღებოდ, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. ივანე ჩხაიძის, გუგული ჩაფიძის კლინიკებში მრავალმა პაციენტმა გაიარა მკურნალობის კურსი ჩვენი თანადგომით. როცა ადამიანები ჩვენი დახმარების იმედზე არიან, მათთვის ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ.

- «მთის კანონში» გარკვეული ცვლილებების შეტანაზეც მუშაობთ...

- ჩვენი ჩარევით, მაჭახლის ხეობის მოსახლეობა «მთის კანონის» შეღავათებით სარგებლობს. რიგი საკითხი დასახვეწია, რასაც ქვეყნის მთავრობის ჩართულობით, სისრულეში მოვიყვანთ. ამ კანონმა უკვე სასიკეთო შედეგი მოგვცა.

- ისევ ჭირს მთის სოფლებში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, რა გზას ხედავთ?

- ბიზნესმა სოფელს უნდა მიხედოს. თავის დროზე, ევროკავშირის ჩართულობით, ქედის მუნიციპალიტეტში 85-ზე მეტი მცირე და დიდი საწარმო ავამოქმედეთ. 500-ზე მეტმა ადგილობრივმა სამუშაო გაიჩინა. ყველა სოფელში, დასახლებულ უბანში ტურისტული ობიექტების, დიდი და პატარა საწარმოების ამოქმედება საშური საქმეა. სხვა სოფლებისგან არაფრით განსხვავდება ჩაო. მალე აქ, «კოტაჯვარზე», ტურისტული ობიექტი გვექნება. მის მნახველს, თუ მოისურვებს, შეუძლია ღამე ახლად ამოქმედებულ სასტუმრო «შატო ჩაოში» გაათენოს. ბიზნესმენმა თამაზ (თომა) მახარაძემ 11 ადამიანს უკვე სამუშაო ადგილი გაუჩინა . კურორტ გოდერძის ამოქმედებამ ათეულობით დანისპარაულის ოჯახს შემოსავალი მოუტანა. ჩაოს მაგვარი სოფლები და გოდერძის სადარი ტერიტორიები აჭარის მთიანეთს არ აკლია. მათი პოტენციალის დროული ათვისება დამატებით სამუშაო ადგილებს გააჩენს და სოფლების დაცარიელების პროცესსაც ნაწილობრივ შეაჩერებს.

თორნიკე რიჟვაძე: ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბათუმისთვის ავარიული სახლები და ამ სახლებში მცხოვრები 3000-ზე მეტი ოჯახის მდგომარეობაა

პირველი გვერდიდან

- 2019 წლის ტურისტული ნაკადები სრულად აღდგენილია, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი გეგმა, ამ მიმართულებით, მოქმედებს. მაისში გვქონდა 87%-იანი აღდგენა, ივნისის ბოლო დღეების მონაცემებით, სრულად აღდგენილია ტურიზმი აჭარაში. ყოველდღიურად იზრდება აეროპორტების დატვირთვა, ემატება ახალი საერთაშორისო მიმართულებები. ყოველთვიურად 370 საერთაშორისო რეისი შესრულდება ბათუმის აეროპორტში. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია როგორც ქალაქში, ისე ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფა, ტურიზმის სექტორის მაქსიმალური მხარდაჭერა. ის ჩავარდნა, რაც გვქონდა ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმის მიმართულებით, სრულად უნდა გამოსწორდეს. ყველამ კარგად იცის, რომ რადიკალური ნაწილი ცდილობს, ეს მიმდინარე აღდგენა ნებისმიერი საშუალებით დააზიანოს, გამოიწვიოს განსაკუთრებული უკმაყოფილება მოსახლეობაში, თუმცა ამ მიზანს ვერ მიაღწევს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპულ ოჯახში, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარემ ძველი ბათუმის რეაბილიტაციის შესახებაც ისაუბრა, თქვა, რომ მას ძველი იერი შეუნარჩუნდება და რადიკალური ცვლილებები არ განხორციელდება.

- ძველ ბათუმთან დაკავშირებით, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია იერსახის შენარჩუნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება, მათი მოვლა. ამიტომ, კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ცვლილებები არ ეხება ძველ ბათუმს. შენარჩუნდება მორატორიუმის რეჟიმი, მოხდება მხოლოდ ძეგლების რეაბილიტაცია კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებსა და ფარგლებში. მინდა ვთხოვო ბათუმის მუნიციპალიტეტს და მერიას, ასევე ეკონომიკის სამინისტროს, რომ პირველი სექტემბრიდან დავიწყოთ ძველი ბათუმის რეაბილიტაციისთვის ფინანსური რესურსის გამოძებნა, რათა მაქსიმალურად მალე შევძლოთ კონკრეტული კვარტალების რეაბილიტაცია. შეზღუდვები, რომელიც მოქმედებდა აქამდე, ეს გახლავთ 12-მეტრიანი შეზღუდვა, რჩება ძალაში და ძველ ბათუმთან მიმართებით კოეფიციენტი არ გაიზრდება. იმედი მაქვს, რომ ძველ ბათუმთან მიმართებით არსებული სპეკულაციები დასრულდება და ყველა შეკითხვას პასუხი გაეცემა, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ღირსეულთა შორის ღირსეული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქართველ მათემატიკოსთა თანავარსკვლავედში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ვლადიმერ ბალაძემ, რომელსაც დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მისი ცხოვრების, მეცნიერული მოღვაწეობის გზა გეგელიძეებიდან დაიწყო... იმ ხანად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მოხვედრა გამორჩეულთა ხვედრი იყო

ნიჭიერ ახალგაზრდას ყურადღება უმალვე მიაქციეს ქართული მათემატიკური სკოლის ისეთმა კორიფეებმა, როგორებიც აკადემიკოსები ილია ვეკუა, გიორგი ჭოღოშვილი და სხვები იყვნენ. მრავალთაგან მხოლოდ ერთეულები ამართლებენ ღირსეული დამრიგებლების ნდობას. ვლადიმერ ბალაძის მთავარ სამეცნიერო მიღწევად ითვლება საქართველოში გეომეტრიული ტოპოლოგიის განვითარება, ბათუმში კი ამ სახეობის სკოლის შექმნა. მან ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარს „ტოპოლოგიურ სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა (კო) შეიპური კლასიფიკაციები და მათი ალგებრული და განზომილებისნაირი ინვარიანტები“.

პროფესორი ვლადიმერ ბალაძე ტოპოლოგიაში 100-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. განსაკუთრებულია მისი როლი ბათუმის უნივერსიტეტში ტოპოლოგიის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია და დაცულია დისერტაციები, არის რამდენიმე მათემატიკური ფორუმის ორგანიზატორი.

მის მეცნიერულ მიღწევებს შესანიშნავი ოჯახი აგვირგვინებს. მეუღლე დიდარი ცინცქილაძე ქიმიკოსია. ქალიშვილი სოფო ექიმია, ლინდა - იურისტ-ეკონომისტი, ვაჟი ზურაბი - ფინანსისტი, საინჟინრო მენეჯერია. ბაბუის კვალზე მიდიან შვილიშვილები საბა, დაჩი ბალაძეები, ანა, ნინო, ნელი, ალექსანდრე ნაკაშიძეები, მარგო დიასამიძე.

მეცნიერის 70-წლიანი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ამ ინტერვიუში გაეცნობით.

- მნიშვნელოვანი, რაც გეგელიძეებთან გაკავშირებთ...

- ყველა თავის ადგილის დედას აქებს. საამაყოდ მაქვს, რომ უძველესი და ისტორიული სოფლის მკვიდრი ვარ. აქ 8-წლიანი სკოლა დავამთავრე. ვიყავი წარჩინებული მოსწავლე. საშუალო განათლება ცხმორისის, ახლანდელი ახოს № 1 სკოლაში მივიღე, რომლის დასრულების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. თანასოფლელია პროფესორი აკაკი დუმბაძე, ასევე ვახტანგ კეკელიძე. ისინი ფაქტობრივად, ჩემი წინამორბედები იყვნენ, ორივე ცნობილი მათემატიკოსია. აღსანიშნავია, რომ გეგელიძეების სკოლას ადრეც და ახლაც, წარმატებულ მასწავლებელთა მთელი პლეადა ჰყავს. წინამორბედი დირექტორების გზას ახლა დურსუნ ნიჟარაძე აგრძელებს. ამაგს ვერ დავუკარგავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორებს, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კათედრის გამგეს, დეკანს, თითოეულ ლექტორს. ისინი ჩვენში იმ მარცვალს ხედავდნენ, რომელიც გაღვივებას, გაზრდას და ნაყოფის მიღებას საჭიროებდა. წილად მერგო პატივი, ვყოფილიყავი ქართული მათემატიკური სკოლის კორიფეების სტუდენტი. ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი საკუთარი შვილივით მპატრონობდა, უნივერსიტეტმა ალგებრა-გეომეტრიის მიმართულებით დიდი ცოდნა მომცა. აქ ჩამოვყალიბდი როგორც მათემატიკოსი. გავხდი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი. აქ გავიარე სრული კურსი. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის მისამართით. ჩემი საკანდიდატო დისერტაციის „სივრცეთა და კომპლექსთა გამოყოფილი კლასებზე დაფუძნებული განზომილების ინვარიანტები“ ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსები გიორგი ჭოღოშვილი და პროფესორი ლაზარე ზამბახიძე.

- საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდგომ რა გზა აირჩიეთ?

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავბრუნდი სამუშაოდ. ვიყავი ლაბორანტი, ასისტენტი, მომენიჭა დოცენტის წოდება, გავხდი პროფესორი.

- რა თემაზე კითხულობდით ლექციებს?

- ტოპოლოგიაში, ალგებრაში, ანალიზურ გეომეტრიაში. ვფიქრობ, ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება ტოპოლოგიის კურსის წაკითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე, რომლის კურსი მიჰყავდა საქართველოში ტოპოლოგიის სკოლის დამფუძნებელს, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილს. შემდგომში მისი თხოვნით და პრინციპული მიდგომით, მომცეს საშუალება ეს კურსი გამეგრძელებინა. უნდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტში ჩემს ლაბორანტად დანიშვნას ხელი მოაწერა საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერმა, ღირსეულმა ქართველმა, ყველასათვის საყვარელმა პიროვნებამ, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ.

- აჭარის მთიანეთიდან თქვენთან ერთად ვინ საქმიანობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

- ჩემს მიმართულებაში წამყვანი პოზიცია ეჭირა შუახევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეების მკვიდრ გენადი ივანაძეს. საუბედუროდ, ძნელბედობის წლებში, ავტოავარიაში მოყვა და... ახლა ძალიან უჭირს. რომ არა საბედისწერო ავარია, ის ღირსეულ სიტყვას იტყოდა ტოპოლოგიაში. თბილისის უნივერსიტეტის პარალელურად, საქმიანობა დავიწყე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდი სურვილი მქონდა, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე ბათუმში მეკეთებინა. ჩემი ხელდასმით აქ აღიზარდა ახალგაზრდა მათემატიკოსთა მთელი პლეადა. ისინი დიდ როლს ასრულებენ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ქართული მათემატიკური სკოლის წარმატებებში.

- საზოგადოებას კარგად ახსოვს ბათუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ხელმძღვანელების დურსუნ ბალაძისა და ნოდარ ამაღლობელის სანიმუშო ურთიერთობა. მათი ხელდასმით, 10-ზე მეტი წარმატებული ახალგაზრდა, ბათუმიდან თბილისში სამეცნიერო საქმიანობის დასაწყებად მიავლინეს. ამ ინიციატივიდან რას გაიხსენებდით?

- აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელს აჭარა გამორჩეულად უყვარდა. მისი თავდადება მრავალი მიმართულებით წარმოჩნდა. მან ბათუმის სამეცნიერო ცენტრი შექმნა, სადაც სწავლულ მდივნად ვმუშაობდი. თვალნათლივ ვგრძნობდი იმ საქმიან ატმოსფეროს, რაც ცენტრში სუფევდა.

- წლების განმავლობაში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყავით... საქმეებს როგორ აგრძელებდით?

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორების დიდ გამოცდილებას დავეყრდენი, მათ ვბაძავდი კიდეც. ესენი იყვნენ ნიკო კეცხოველი, ილია ვეკუა, ნოდარ ამაღლობელი, როინ მეტრეველი. ვცდილობდი, ყველაფერი, რაც მათი შემოქმედებისთვის იყო დამახასიათებელი, ჩემი რექტორობის დროს გამეტარებინა. ეს, უპირველესად, სასწავლო-აკადემიური მუშაობა იყო. მიხარია, რომ აქტიურად მიმდინარეობდა სტუდენტთა აკადემიური სწავლება.

- წინა ხელისუფლებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების საქმიანობაში, ბევრსაც დანიშნულება შეეცვალა...

- ინსტიტუტები გადავიდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტში და მათ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად იქცნენ. აშკარაა, რომ დღეს ძალიან დიდ როლს თამაშობენ სამეცნიერო მუშაობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ინსტიტუტები.

- თქვენს სამეცნიერო მიღწევად ითვლება საქართველოში გეომეტრიული ტოპოლოგიის განვითარება. აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის დაწყებული საქმეები თუ გრძელდება?

- რა თქმა უნდა, გრძელდება. ჩვენ მრავალი ნიჭიერი და პერსპექტიული მათემატიკოსი გვყავს. ნაწილი წარმატებით საქმიანობდა და საქმიანობს უცხოეთში, მრავალიც - მშობლიურ ქვეყანაში. ისინი დიდი წარმატებით აგრძელებენ აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის დაწყებულ საქმეს. ჩემი ცხოვრება, მეცნიერული მოღვაწეობაც ამის დასტურია. შევეცადე, რომ აჭარაში, კერძოდ, ბათუმში, შემექმნა სამეცნიერო სკოლა, რომელიც უზრუნველყოფდა ტოპოლოგიის განვითარებას. გვყავს მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი, მათ შორის გამორჩეულები არიან ანზორ ბერიძე, ლელა თურმანიძე, მაია ძაძამია, ფრიდონ დუმბაძე, რუსლან ცინარიძე. ეს ის თაობაა, რომელიც ღირსეულად გააგრძელებს დიდი მეცნიერის დაწყებულ, შემდეგ ჩვენს გაგრძელებულ სამეცნიერო საქმიანობას.

- თანამედროვე სკოლებში მათემატიკის სწავლებისადმი პედაგოგების მიდგომებს როგორ აფასებთ?

- აუცილებელია, სკოლებში გვყავდეს კვალიფიციური მასწავლებლები, რაც ჩემი მოსწავლეობის დროს არ მომკლებია. ყველაფერია დამოკიდებული საბაზისო განათლებაზე, რასაც საჯარო სკოლა უნდა იძლეოდეს. მისაღები გამოცდების დროს უნდა იყოს კონკურსი. აბიტურიენტი კონკურსმა უნდა შეარჩიოს. მთავარია სკოლაში მოსწავლეებთან აქტიური მუშაობა, უნდა ვიცოდეთ, ვის ვანდობთ საგაკვეთილო პროცესს. მასწავლებელს თუ შეუძლია ახალგაზრდის მოტივირება, მიზნის მისაღწევად გზაზე დაყენება, ვფიქრობ, მეტი წარმატება გვექნება.

- მშობლიური გეგელიძეები ისევ ანდამატივით გიზიდავთ...

- გეგელიძეებზე დიდი საფიცარი ამ ქვეყნად არაფერი მაქვს. ამ განწყობამ, 70 წელს მიღწეული, ისევ სოფელში დამაბრუნა, იქ ვაგრძელებ სამეცნიერო მუშაობას, მაგრამ არც ბათუმის უნივერსიტეტს ჩამოვცილებულვარ.

- ამ ეტაპზე დოქტორანტებს თუ ხელმძღვანელობთ?

- კი. ისინი ღირსეულ მეცნიერებად მოევლინებიან ქვეყანას. მუდმივად ვცდილობდი, რომ ჩემს მოსწავლეებს დისერტაცია დაეცვათ ცნობილი სამეცნიერო საბჭოების წინაშე. პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირადად ვიწვევდი ცნობილ მათემატიკოსებს სამეცნიერო ხარისხის მიმანიჭებელ კომისიაში. მათემატიკოსები ბუნებით ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც ზერელედ არაფერს უდგებიან. ამიტომ ეს თაობაც ღირსეული იქნება, გააგრძელებს წინამორბედთა საქმიანობას.

- გენი არ იკარგება...

- უფროსი შვილიშვილი და კიდევ საბა და დაჩი ბალაძეები მათემატიკურ ნიჭს ავლენენ. ვცდილობ, ხელი შევუწყოთ, რომ ეს ნიჭი არ დაიკარგოს.

„ჩვენ მრავალი ნიჭიერი და პერსპექტიული მათემატიკოსი გვყავს. ნაწილი წარმატებით საქმიანობდა და საქმიანობს უცხოეთში, მრავალიც - მშობლიურ ქვეყანაში. ისინი დიდი წარმატებით აგრძელებენ აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის დაწყებულ საქმეს. ჩემი ცხოვრება, მეცნიერული მოღვაწეობაც ამის დასტურია. შევეცადე, რომ აჭარაში, კერძოდ ბათუმში, შემექმნა სამეცნიერო სკოლა, რომელიც უზრუნველყოფდა ტოპოლოგიის განვითარებას.

ბსუ – ომით დაზარალებული უკრაინელებისთვის

ჩვენს ქალაქში მცხოვრები ომით დაზარალებული უკრაინელებისთვის ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება დაიწყო. პროგრამა 4 თვის განმავლობაში გაგრძელდება და მას პროფესორი მაია კიკვაძე წარუძღვება

ბსუ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პროექტი ეძღვნება ცნობილი ქართველოლოგის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას, რამდენადაც იგი ეყრდნობა მის მიერ შემუშავებულ ქართული ენის სწავლების კონცეფციას. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო პარტნიორია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განმახორციელებლები - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი და ენის ამერიკული ცენტრი.

პროექტს „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის“ ახორციელებს „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ (NCCE) ორგანიზაციასთან „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ თანამშრომლობით. პროექტი ნაწილია პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით.

ია შველიძე

„ნებისმიერი ადამიანისგან შეიძლება, რალაც ისწავლო“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

***თინათინ ბერიძეს** ბათუმელები (და არა მარტო) კარგად იცნობენ და მის მიმართ დადებით ეპითეტებს არ იშურებენ. ამ ნიჭიერმა ქალბატონმა ლიტერატურულ სარბიელზე უკვე დაიმკვიდრა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ წერაზე არ ოცნებობდა, ახლა ცნობილი მწერალია, რისი დასტურია თუნდაც ის, რომ იგი გახლავთ „პალიტრა L-ის“ ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი“ 2019 წლის გამარჯვებული რომანით „მოპარული სიყვარული“, რასაც მისი გაგრძელება მოჰყვა*

„მეორე შანსმა“, რომელიც ახლახან გამოიცა, მკითხველის დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. სოციალურ ქსელში არ წყდება დადებითი გამოხმაურებები. თინათინ ბერიძე ჩვენი გაზეთის სტუმარია.

- ქალბატონო თინათინ, ვიდრე თქვენს შემოქმედებაზე ვისაუბრებდეთ, მოგვიყევით თქვენს ბავშვობაზე.

- საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს, მაინცდამაინც საინტერესო ცხოვრებაც არ მქონდა. ერთი რამ, რაც შემიძლია ბავშვობიდან გავიხსენო, ისაა, რომ ვკითხულობდი ბევრს. თავიდან მშობლები მირჩევდნენ წასაკითხ წიგნებს, მერე უკვე თავადაც დავიწყე ამორჩევა. იმ დროს, როცა არც ინტერნეტი იყო და შუქიც ხშირად ქრებოდა (მაღალმთიან აჭარაში ვცხოვრობ - ქედაში), წიგნები

იყო ერთადერთი გასართობი. ის უფრო მრავალფეროვანს ხდიდა ჩემს ოცნებებს და მიზნებს.

- „ერთხელაც შეიძლება, ის ოცნება ამიხდეს, რომელიც ახლა ოცნება არ მგონია და იმ კონკრეტულ შემთხვევაში მივხვდე, რომ თურმე მთელი ცხოვრება ამაზე მიოცნებია“, - ამბობთ ერთგან. რაზე ოცნებობდით ბავშვობაში და რა ნატვრაც გქონდათ, თუ აისრულეთ?

- კონკრეტული ოცნებები არ მქონია, რისთვისაც ყველაფერი უნდა გამეღო. ვოცნებობდი განათლების მიღებაზე, მოგზაურობაზე... წერაზე - არასდროს. თუმცა, შეიძლება ნებისმიერ ადამიანს ჰქონდეს ოცნება, რომელსაც საკუთარ თავსაც ვერ უმხელს, ან ისეთი, რომელიც ოცნებად დარჩება მუდამ.

- ახლახანს გამოეცით ახალი წიგნი „მეორე შანსი“. გილოცავთ!

- ზოგჯერ ისიც არ მჯერა, რომ, ზოგადად, წიგნის ავტორი ვარ. მეგონა იმ ერთი წიგნით დავასრულებდი, მაგრამ ისეთი გამოხმაურება მოჰყვა და იმდენი ითხოვდა გაგრძელებას, „იძულებული“ გავხდი, დამეწერა. „მოპარული სიყვარული“, რომელიც „გახდი ბესტსელერის ავტორი“ 2019 წლის ერთ-ერთი გამარჯვებულია, ტრაგიკულად მთავრდება, რასაც ბევრი აპროტესტებს და მესმის მათი. მეც ბევრჯერ მქონია პროტესტის გრძნობა, როცა წიგნი ან ფილმი ცუდად მთავრდებოდა... მაგრამ ძირითადი მიზეზი, რისთვისაც გადავწყვიტე წიგნის გაგრძელება, ისაა, რომ მეთქვა - ადამიანს ცხოვრება ყოველთვის აძლევს მეორე შანსს და რაც უნდა მოხდეს, არ უნდა დანებდეს.

- რა არის თქვენი წიგნის მთავარი სათქმელი?

- ბევრი მწერს, რომ ცხოვრებისეულია და ბევრი მსგავსება იპოვეს წიგნის გმირებთან. მიხარია იმის მოსმენა, რომ ჩემი გმირები რეალურ პიროვნებებს გვანან და რადგან მათ გვანან, ალბათ, - სიყვარულის, მეგობრობის, ტკივილთან გამკლავების სწავლა შეიძლება წიგნიდან... იმის, რასაც შესაძლოა, ნებისმიერ დროს გადააწყდე ცხოვრებაში.

- რას ნიშნავს იყო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული?

- კონკურსში გამარჯვებას ვეძახი იმ ოცნების ახდენას, რომელზეც არასდროს მიოცნებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. მეგობრების დაჟინებით მივიღე მონაწილეობა კონკურსში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ეს გამარჯვება, რომელმაც თავდაჯერებული გამხადა, ეგოისტურად ამაყიც, რადგან ამდენ მონაწილეში მკითხველმა მე გამომარჩია.

- ბათუმში „ბიბლიუსის“ გალერეაში მკითხველთან შეხვედრა გამართეთ, რაც, ცხადია, მწერლისთვის მნიშვნელოვანია, გვიამბეთ ამის შესახებ...

- ასეთი შეხვედრები, მკითხველის აზრის გაგება ყოველთვის მნიშვნელოვანია, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო გამომცემლობა პალიტრა L-ს და „ბიბლუსს“, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ დღევანდელ პირობებში მკითხველს ისედაც შეუძლია აზრის გაზიარება სოციალური ქსელების მეშვეობით. ძირითადად აინტერესებდათ, ვწერდი თუ არა მესამე ნაწილს. შეიძლება ბევრს ეწყინოს კიდეც, მაგრამ მესამე ნაწილი არ იქნება.

- როგორ შეაფასებთ დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებას, ჩვენი რეალობა რამდენად ასაზრდოებს და მოქმედებს ლიტერატურის განვითარებასა და ხარისხზე?

- გასული კვირის განმავლობაში ბათუმში კიდევ ბევრი მწერალი შეხვდა მკითხველს და აღნიშნა, რომ მკითხველის დაინტერესება საკმაოდ გაზრდილია მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურმა პროცესებმა საკმაოდ ჩაანაცვლა წიგნი. რაც შეეხება ლიტერატურულ ცხოვრებას, საბედნიეროდ, ჩვენთან არის გამომცემლობები, რომლებიც გვაბედნიერებს მსოფლიო ბესტსელერების თარგმანებით, იბეჭდებიან ქართველი ავტორებიც. რა თქმა

უნდა, ეს კარგია, რადგან რაც მეტს წაიკითხავს საზოგადოება, მით უკეთესად იაზროვნებს. წიგნს ალტერნატივა არ გააჩნია, - მნიშვნელობა არ აქვს, რა ფორმატში წაიკითხავ.

- როგორია თქვენი ერთი დღე, ანუ ამ ეტაპზე როგორ ცხოვრობთ?

- სხვებისგან არაფრით გამორჩეული დღე მაქვს - 9-დან 6-საათამდე ვმუშაობ - ქედის რესურსცენტრის ფინანსისტი ვარ. ვცდილობ, ბევრი წავიკითხო, ფილმებს ვუყურო. სამწუხაროდ, წერისთვის დრო არ მრჩება, მაგრამ სტივენ კინგის რჩევას ვითვალისწინებ - ვცდილობ, დღეში თუნდაც ერთი აბზაცი მაინც დავწერო.

- ადამიანები, რომელთა ცხოვრებამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ...

- ნებისმიერი ადამიანისგან შეიძლება, რაღაც ისწავლო, შენთვის მაგალითი გახდეს. ზოგადად, მაინტერესებს ცნობილი ადამიანების ცხოვრება, რისი გადატანა ან რისი დათმობა მოუწიათ წარმატებისთვის. როცა იგებ, რომ ვიღაცამ ნულიდან დაიწყო და თავის სფეროში გახდა №1, გიჩნდება სურვილი, რომ შენც იბრძოლო. ბოლოს დებ უილიამსების ცხოვრებაზე ვნახე ფილმი („მეფე რიჩარდი“). ვფიქრობ, მსგავსი ისტორიები ნებისმიერი ადამიანისთვის შეიძლება იქცეს მაგალითად. ყოველი შემთხვევისთვის, ჩემზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს.

- ვის ნაწარმოებებს კითხულობთ ხშირად და თქვენი საყვარელი მწერლები...

- ძალიან ბევრ ავტორს ვკითხულობ სხვადასხვა ჟანრში და ბევრს უკვირს, როცა იგებს, რომ, პირობითად, სტივენ კინგი მიყვარს. ერთხელ, მახსოვს, Facebook-ზე იყო გამოწვევა - უნდა დაგესახელებინა შენი ფავორიტი წიგნების ათეული და მერე სხვა მეგობარი გამოგეწვია. მაშინ ახალწაკითხული მქონდა ფამუქის „მე წითელი მქვია“ და სიაში შევიტანე, სადაც ასევე მყავდა შეყვანილი კონსტანტინე გამსახურდია. მაშინ ვიღაცებმა „გაიკვირვეს“, როგორ შეიძლება ფამუქი და გამსახურდია ერთდროულად მოგწონდესო. რატომ არა? ვცდილობ, ყველაფერი წავიკითხო, მათ შორის ის ავტორებიც, ვისაც ხშირად აკრიტიკებენ. რა პრობლემაა, თუ გამსახურდიაც მეყვარება, შაფაქიც და უილბეკიც? თუმცა ჩემთვის არსებობს წიგნები, რომელთაც ვერაფერი ანაცვლებს და ახლაც, ნებისმიერ დროს შეიძლება მივუბრუნდე, მაგალითად, ნოდარ დუმბაძეს, დიუმას, მარკ ტვენს, ტომ სოიერი კი ჩემს პირველ სიყვარულად რჩება.

- დაბოლოს, კითხვა, რომელზეც ხშირად გიფიქრიათ და პასუხს მოითხოვს.

- ზოგადად, მგონია, რომ ოპტიმისტი ვარ და, შეიძლება ეს პესიმისტურად გამომივიდეს, მაგრამ იმ ყველაფრის ფონზე, რაც დღეს ხდება მსოფლიოში, ხშირად მეფიქრება - რა აზრი აქვს ცხოვრებას? არ მაქვს საუბარი მხოლოდ ომზე. ვგულისხმობ სოციალურ ქსელებში დამკვიდრებულ ნორმას - ყველა ქმედება გააკრიტიკონ, ილანძღონ, ჩასაფრებული არიან, შეცდომა დაუშვას ვინმემ, ბულინგამდეც მიდიან ადამიანები... ეს ძალიან დამთრგუნველად მოქმედებს ჩემზე და მნიშვნელობა არ აქვს, მექნება თუ არა სოციალური ქსელი - მაინც მოაღწევს ჩემამდე, რადგან ამით ცხოვრობს დღევანდელი საზოგადოება. თუმცა ვცდილობ, მსგავს თემებზე აღარ ვიფიქრო ხშირად და კარგ რამეებზე გავამახვილო ყურადღება. მაგალითად, ბოლო დროს უზომოდ ამაყი ვარ და გახარებული ხვიჩა კვარაცხელიას ამბებით.

ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა ნაწილობრივ იხსნება

თავისუფალი გადაადგილების თითქმის სამწლიანი შეზღუდვის შემდეგ, ნაწილობრივ იხსნება ეგრეთ წოდებული გადასასვლელი პუნქტები. როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებაშია ნათქვამი, ცალსახად მისასალმებელია ჰუმანიტარული მიდგომით განხორციელებული ყველა მსგავსი განვითარება და ნაბიჯი, რომელიც მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქებისკენ.

„ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით „გადასასვლელების“ ნაწილობრივ გახსნა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის, ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისა და მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს.

თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული უკანონო შეზღუდვით, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, ახალგორის რაიონში ჰუმანიტარული კუთხით გამოწვეული უმძიმესი ვითარება და ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალრიცხოვანი ფაქტი მუდმივ რეჟიმში განიხილებოდა როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან ყველა შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, ასევე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების ფარგლებში.

საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურ ძალისხმევას ახორციელებს, რათა ჩვენს ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისა და თავისუფალი გადაადგილების ფუნდამენტური უფლება“, - ნათქვამია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

775 მილიონი დოლარის ახალი პაკეტი - უკრაინას

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა გუშინ უკრაინისთვის 775 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების თავდაცვითი აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის ახალი პაკეტის შესახებ გამოაცხადა.

პაკეტი სხვადასხვა ტიპის რაკეტას, დრონებს, არტილერიასა და განაღმვის სისტემებს მოიცავს.

„ჩვენ გვსურს დავრწმუნდეთ, რომ უკრაინას აქვს საბრძოლო მასალის უწყვეტი ნაკადი მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ეს არის ის, რასაც ვაკეთებთ ამ პაკეტით“, - განუცხადა ჟურნალისტებს აშშ-ის თავდაცვის მაღალჩინოსანმა.

ოფიციალურმა პირმა, რომლის ვინაობასაც მედია არ ასაჯაროებს, დასძინა, რომ უკრაინის ძალებმა კარგად გამოიყენეს შეიარაღების 19 პაკეტი, რომლებიც ოფიციალურმა ვაშინგტონმა კიევს რუსეთის შეჭრის შემდეგ მიაწოდა.

ამირან გურიელიძე

სოფელი დაამშვენა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მრავალი სახელოვანი პიროვნება იყო და არის ჩაოს მკვიდრი. თამაზ (თომა) მახარაძე ერთი იმათგანია, ვინც სოფლის ინტერესებისთვის, მისი განვითარებისთვის ძალასა და ენერგიას არ ზოგავს

მან ახალი სასტუმრო - „შატო ჩაო“ ააშენა, რომელიც ზღვის დონიდან 1 120 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მთიანი აჭარის ამ სოფელში ეს პირველი ინვესტიციაა, რომელიც გაეროსა და ევროკავშირის თანადაფინანსებით განხორციელდა. დონორებმა 170 ათასი ლარი გაიღეს. სასტუმრო ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს მოემსახურება.

სასტუმრო 11 ადგილზეა გათვლილი. მისი გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის პირველი პირები, ტურისტული კომპანიებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აჭარაში მოღვაწე მწერლები, აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაციის წევრები.

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, - გვითხრა ჩაოელმა მარიამ მახარაძემ, - ამ ობიექტს სანახაობითი და სოციალური დანიშნულება აქვს, სოფლის სახესაც წარმოაჩენს. ახალგაზრდები შევძლებთ აქ დავსაქმდეთ, პროფესიული უნარები გამოვავლინოთ.

თამაზ მახარაძე: - სასტუმრო ბათუმშიც მაქვს, მას „ჩაო“ ჰქვია. მსურდა, თანასოფლელებისთვის ადგილზე სამუშაო გამეჩინა, თორემ სოფელი ცარიელდება. „სოფლის განვითარების პროგრამით“ ვისარგებლე, რომელსაც „სოფლის გადარჩენის პროგრამად“ მივიჩნევ, ასეთი ობიექტი ყველა სოფელში მრავლად უნდა გაკეთდეს, რომ ისტორიული ტერიტორიები არ დაცარიელდეს.

უცხოური მედია - ხვიჩა კვარაცხელიაზე

„ნაპოლიმ“ ახალი ვარსკვლავი იპოვა“

„ნაპოლის“ ქართველ ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიაზე იტალიურ პრესაში აქტიურად იწერება. ამჯერად ერთ-ერთი წამყვანი გამოცემის Corriere della Sera-ს სტატიას შემოგთავაზებთ, რომელიც „პარტენოპეის“ გარემარბს ეხება

„ხვიჩა კვარაცხელია განახლებულ „ნაპოლიში“ შესანიშნავია. მემარჯვენე ფეხბურთელი მეტოქის დაცვის ხაზს წელავს და მოედანს უფრო ფართოდ წარმოაჩენს. ინტელექტისა და ფიზიკური მონაცემების დახმარებით, იგი სივრცეს კარგად იყენებს და წნეხისა და შიშის გარეშე თამაშობს. ვიტყოდით, რომ ხასიათითაც გამოირჩევა, მაგრამ ერთი ოფიციალური მატჩის შემდეგ ამ დასკვნის გამოტანა, მიუხედავად იმისა, რომ გოლი და ასისტი გაიფორმა, არ შეიძლება.

ტაქტიკური გადმოსახედიდან, ბევრი რამ აქვს სასწავლი, მაგრამ ტემპერამენტით გამოირჩევა. იგი საქართველოდანაა. ქვეყნიდან, რომლის მოსახლეობაშიც ომმა სიმტკიცისა და გამძლეობის დანერგვა განაპირობა. კვარაცხელიას თანამემამულე ზურიკო დავითაშვილი მას ქართველ მესის უწოდებს. არადა, ხვიჩა მემარჯვენეა და თან მისი შთაგონების წყარო კრიშტიანუ რონალდუა, რაზეც მისი მაისურის ნომერიც მოწმობს - 77. ორი შვიდიანი თავისი ჩემპიონის საპატივცემულოდ“,- წერს იტალიური გამოცემა.

შეგახსენებთ: *„ვერონასთან" მატჩის შემდეგ ხვიჩას ასპარეზობას უამრავი ცნობილი გამოცემა გამოეხმაურა და მასზე La Gazzetta dello Sport-მა, Football Italia-მ და სხვებმა დაწერეს. ქართველი ფეხბურთელის გუნდი იტალიის სერია A-ში მომდევნო დაპირისპირებას ხვალ, საქართველოს დროით 20:30 საათზე, სტადიო „დიეგო არმანდო მარადონაზე“ „მონცას“ წინააღმდეგ ნეაპოლში გამართავს.*

„დაიმახსოვრეთ ეს სახელი!“

ხვიჩა კვარაცხელია სერია A-ს საუკეთესო დებიუტანტია

იტალიის სერია A-ში ხვიჩა კვარაცხელიას ხმაურიანი დებიუტის შემდეგ მრავალმა სააგენტომ ქართველი ფეხბურთელის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

გამოცემა Cultofcalcio.com-მა პირველ ტურში 6 საუკეთესო დებიუტანტი გამოარჩია და, რაც ყველაზე სასიხარულოა, ქართველი ფეხბურთელი ამ ექვსეულის სათავეში დააყენა.

აი, რას წერს CULTOFCALCIO კვარაზე:

„ხვიჩა კვარაცხელია, დაიმახსოვრეთ ეს სახელი! მართალია, ეს ცოტა გაგვიჭირდება და დასამახსოვრებლად გარკვეული დრო დაგვჭირდება, მაგრამ ყოველთვის გვემახსოვრება ის ფაქტი, რომ „ნაპოლის“ მარცხენა ფლანგზე ახალი, ფეთქებადი გარემარბი ჰყავს, რომელიც ნამდვილად არის ლორენცო ინსინიეს ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე.

ყოფილი კაპიტნისგან განსხვავებით, ქართველი ვარსკვლავი ფიზიკურად შეიძლება უფრო ძლიერი იყოს და ასევე გვაჩვენა, რომ ჰაერში უკეთესია. მან ეს სერია A-ს პირველ ტურში გატანილი გოლით დაამტკიცა, მაგრამ მისი „კარაქი და პური“ რჩება მის წარმოუდგენელ ტექნიკად, რაც პიოტრ ზიელინსკის მისამართით დახვეწილი პასით გამოიხატება. ძალიან ნიჭიერია!

ცნობისთვის: *იტალიურმა გამოცემის ვერსიით, ხვიჩა კვარაცხელიამ საუკეთესო დებიუტანტების ხუთეულში ისეთ ფეხბურთელებს გაუსწრო, როგორებიც არიან ანხელ დი მარია („იუვენტუსი“), ასან კისი („ლეჩე“), ადამა ლუკმენი („ატალანტა“), ჩარლზ დე კეტელაერი („მილანი“), ლუკა იოვიჩი („ფიორენტინა“).*

„თანამედროვე ფეხბურთში ბევრ მისნაირ ფეხბურთელს ვერ იპოვით“

ბრიტანულმა გამოცემა Liverpool.com-მა „ნაპოლის“ ქართველ ფეხბურთელ ხვიჩა კვარაცხელიას სტატია მიუძღვნა. მისი ავტორი ბენ ბოშაკი „კვარას“ დახასიათებას გვთავაზობს და აცხადებს, რომ „წითლებმა“ მას თვალი აუცილებლად უნდა ადევნონ.

„რობერტო ფირმინოს კონტრაქტი მომდევნო ზაფხულში იწურება, დიეგუ ჟოტა კი ბოლო პერიოდში ტრავმებისკენაა მიდრეკილი. არაა გამორიცხული, ადრე თუ გვიან, „ლივერპულს“ შემტევი ფეხბურთელის დამატების აუცილებლობა გაუჩნდეს და თუ ასე მოხდა, არის ერთი ტალანტი, რომელიც შესაძლოა, ზუსტად ის იყოს, რაც „წითლებს“ სჭირდებათ.

მოჰამედ სალაჰის მსგავსად, ხვიჩა კვარაცხელია სახელის მოხვეჭას სერია A-ში იწყებს. ამ ზაფხულს იგი „ნაპოლიში“ გადავიდა და ქართველ ფეხბურთელს იქაური ცხოვრების შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა. კვარაცხელიამ „ნაპოლის“ „დინამო ბათუმიდან“ მიაშურა, მანამდე კი „რუბინში“ თამაშობდა და უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ფიფას მიერ შემუშავებულმა წესებმა სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა. რუსეთის პრემიერლიგის ბორკილებიდან თავის დაღწევის შემდეგ, კვარაცხელიამ „დინამო ბათუმის“ მაისურით 11 შეხვედრაში 8 გოლი და 2 საგოლე გადაცემა მიითვალა, „ნაპოლიში“ კი სერია A-ს სადებიუტო მატჩი გოლითა და საგოლე პასით აღნიშნა.

კვარაცხელია ფეთქებადი ფეხბურთელია, რომელსაც დრიბლინგით მეტოქეების ჩამოშორება ახასიათებს და ბურთთან ერთად მოუხელთებელია. სადებიუტო შეხვედრაში მან 9 დრიბლინგი შეასრულა, რომელთაგან წარმატებული 8 იყო. ხვიჩამ „ვერონის“ ფეხბურთელებს მთელი მატჩის განმავლობაში უამრავი პრობლემა შეუქმნა და ეს მოწინააღმდეგისთვის სახიფათო ტერიტორიაზე შესვლებითა და მათ საჯარიმოში განხორციელებული 6 შეხებით გააკეთა. ხვიჩას შეტევის ორივე ფლანგზე თამაში და შედარებით ცენტრალური როლის მორგებაც შეუძლია. იგი ძალიან ახალგაზრდა - მხოლოდ 21 წლისაა, თუმცა დრიბლინგის უნარი და პოზიციური თვითშეგნება, თავისუფალი სივრცეები რომ იპოვოს, მას იურგენ კლოპის სათამაშო სქემისთვის შესაბამის შემტევად აქცევს, რომელიც ლუის დიასისა და მოჰამედ სალაჰის კომბინაციას წარმოადგენს. დიასს იგი მეტოქესთან ერთი-ერთზე თამაშის უნარით, ხოლო სალაჰს მოედნის დასკვნით მესამედში მოხდენილი გავლენით ჰგავს.

კვარაცხელია ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია და მიუხედავად იმისა, რომ მუშაობისა და ფიზიკური კონდიციების მხრივ მოსამატებელი აქვს, მის მიერ შეტევაში ნაჩვენები თამაში გვარწმუნებს, რომ საქმე აღმაფრთოვანებელ პოტენციალთან გვაქვს. თუ მან ისე განაგრძო, როგორც რუსეთში, საქართველოში, თავის ეროვნულ გუნდში და „ნაპოლის“ მაისურით გამართულ სადებიუტო შეხვედრაში ითამაშა, სიურპრიზი არ იქნება, რომ „ლივერპულის“ რადარზე აღმოჩნდეს. თანამედროვე ფეხბურთში მისნაირი მოთამაშეები ბევრნი არ არიან და მისი თამაშის ხილვა ერთი სიამოვნებაა. შესაძლოა, მომავალში „ნაპოლის“ ვარსკვლავმა „ლივერპულის“ შეტევაში მოსახვედრად სხვებს კონკურენცია გაუწიოს ან ენფილდზე სალაჰის ტახტის მემკვიდრე გახდეს... მაგრამ ამ წუთისთვის იგი დამაინტრიგებელი ფეხბურთელია, რომელსაც თვალი უნდა ვადევნოთ და მისმა თამაშმა „ლივერპულის“ სკაუტინგის დეპარტამენტს საფიქრალი ნამდვილად გაუჩინა“, - წერს ბრიტანული გამოცემა.

მოამზადა
ამირან გურიელიძემ

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/08/22, 22 20 სთ.

„აღფრთოვანებული ვარ ახალგაზრდებით – განუმეორებელი, უნიკალური ხმები აქვთ“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში საოპერო დასის სოლისტებსა და სტაჟიორებთან ორკვირიანი მასტერკლასების ჩასატარებლად თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური მიმართულების კათედრის კონცერტმაისტერი მარინა მეტრეველი მოიწვიეს

ქალბატონ მარინას ორ წელიწადში ამ სფეროში მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდება. კონსერვატორიამდე, ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური ათწლედი დაამთავრა და ორივე - საკმაოდ წარმატებულად. მას ძალიან კარგად იცნობენ ამ სფეროში, აქვს საერთაშორისო კონკურსებზე კონცერტმაისტერად მონაწილეობისა და ცნობილ საოპერო მომღერლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელთა შორის არიან მზია დავითაშვილი, მარიამ ჯახუტაშვილი, ლადო ათანელი, თამარ ივერი, ხათუნა მიქაბერიძე, მზია ნიორაძე, გიორგი გაგნიძე, მაყვალა ასპანიძე, მარიამ კუბლაშვილი, ანა თეთრუაშვილი. ის ყველგან და ყოველთვის მონდომებით, შემართებით, საქმისადმი სიყვარულით მუშაობდა. ემადლიერება მის წარმატებულ სტუდენტებს, რომლებმაც ამაგი დაუფასეს. მისთვის ფასეულია თითოეული ახალგაზრდის წარმატებული გზა - მათში ხომ დიდი შრომა აქვს ჩადებული. მარინა მეტრეველს არაერთხელ აქვს მიღებული საუკეთესო კონცერტმაისტერის დიპლომი.

როგორც გვითხრა, მის მოსწავლეთაგან პირველი ლაურეატი იყო მზია დავითაშვილი, შემდეგ მარიამ ჯახუტაშვილი, რომელმაც მასთან ერთად არაერთი კონკურსი მოიგო, წარმატებული კარიერა აქვს ხათუნა მიქაბერიძეს, რომელიც ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს და მრავალ სხვას.

რაც შეეხება ბათუმის მასტერკლასებს. მარინა მეტრეველი ადრეც ჩამოდიოდა ჩვენს ქალაქში მარიამ ჯახუტაშვილთან, რადგან ისინი მეგობრობენ, კონსულტაციას უწევს მას და ამბობს, რომ ყოველთვის კმაყოფილია მარიამის მაღალი დონის ნამუშევრებით, მისი წარმატებით.

ქალბატონ მარინას, რომელიც ბათუმში ოფიციალურადაა მოწვეული მასტერკლასებზე, ერთ-ერთ გაკვეთილზე შევხვდით.

- აღფრთოვანებული ვარ ამ ბავშვების მონაცემებით, შესანიშნავი, განუმეორებელი, უნიკალური ხმები აქვთ და, ამასთან, სერიოზული ნამუშევრები წარმოჩნდნენ. ვოკალის პედაგოგი მარიამ ჯახუტაშვილი უზარმაზარ შრომას დებს მათში და რაც მთავარია, სწორ მიმართულებას აძლევს. მოლოდინს გადააჭარბა ვოკალურმა მონაცემებმა და მუშაობის ხარისხმა.

- რამდენ მომღერალთან მუშაობთ?

- 7-8 მომღერალთან, ისინი სისტემატურად მოდიან და რამდენიმე მასტერკლასს ვუტარებ.

- მასტერკლასები აუცილებელი ნაწილი გახდა მომღერლებისთვის...

- რა თქმა უნდა, ეს არის სწავლის პროცესი, ამაში შედის ნაწარმოების გარჩევა, ტექსტში სწავლა. სასურველია, სტუდენტი ისეთ დონეზე იყოს მომზადებული, რომ ამას თავად ახერხებდეს. სამწუხაროდ, წაკითხვა ხშირად იცის, მაგრამ არა საჭირო დონეზე. ეს არის მუსიკალური ტექსტი, სადაც ყველაფერს ყურადღება ექცევა - რიტმი, დათვლა, დირიჟორობა... გარდა ამისა, არის მხატვრული მხარე, ნაწარმოების შინაარსი. მან ტექსტის მნიშვნელობა უნდა შეიგრძნოს, შეისისხლხორცოს, შემდეგ ადეკვატურად გამოხატოს ყოველივე, რაც შეისწავლა. ტექნიკურად, ვოკალურად უნდა იყოს გამართული, რომ ეს აზრი საჭიროებისამებრ სწორად გადმოსცეს. ვოკალური ტექნიკა ყოველივე ამის საფუძველია და რასაც ვხედავ, მარიამ ჯახუტაშვილი ამ ყველაფერს არაჩვეულებრივად ართმევს თავს.

- ბათუმშიც კარგი პიანისტები გვყავს...

- ძალიან კარგები, თვალყურს ვადევნებ მათ: ნინო ნიშნიანიძე, ნანა კვირიკაძე, ნინო ჩაიძე, უეკო ღოღელიანი... არაჩვეულებრივი პროფესიონალები, პიროვნებები და ამ საქმისთვის თავდადებული მუშაკები არიან. მომღერლის მომზადება კომპლექსური სამუშაოა და ბათუმში ეს ბრწყინვალედ სრულდება. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მიყვარს ბათუმი, მარიამი, მისი გარემოცვა... ვამბობ იმას, რასაც ვხედავ და რასაც ვისმენ.

- კარგი მომღერლებიც გვყავს, მაგრამ მათ ხომ უნდა აღმოჩენა?

- რა თქმა უნდა. რომ ვიცი, რა დონეზე იყო ზოგიერთი გარკვეული პერიოდის წინ და ახლა იმასაც კარგად ვხედავ, რა დიდ წარმატებას მიაღწია დროთა განმავლობაში, როგორი შეცვლილები არიან. ადრეც მომისმენია ზოგიერთი და უზარმაზარი ნაბიჯია გადადგმული.

- თითოეული პარტიის მომზადებას დიდი დრო სჭირდება?

- გააჩნია სტუდენტს, მის მონაცემებს, განათლებულობას, ნასწავლობას იმ მხრივ, თუ როგორ შეუძლია ტექსტის გარჩევა, წაკითხვა, თარგმნა და საერთოდ, როგორი მუსიკალური განათლება აქვს მიღებული. არის, როცა არაჩვეულებრივი ხმები აქვთ, მაგრამ ამ სფეროში, წიგნიერების თვალსაზრისით, ცოტათი ჩამორჩებიან. წიგნიერება კი, რომელშიც შედის სოლფეჯიო და სხვა ბევრი რამ, აუცილებელია კარგად იცოდეს. თავისთავად, უნდა ჰქონდეს ლიტერატურის, მხატვრობის აღქმის კულტურა და თუ ეს ყველაფერი შეთვისებული აქვს და მისი მსოფლმხედველობა მრავალმხრივია, ამას რა სჯობია. ახლა, მუსიკალური განათლების მიღების თვალსაზრისით, უფრო მეტი საშუალებაა - ბევრ მუსიკალურ ნაწარმოებს ისმენენ ინტერნეტით, მაგრამ თუ თვითონ არ არის განათლებული, წიგნიერი, მაშინ ის თავისებურად უსმენს ამა თუ იმ ნაწარმოებს და შესაძლოა, ყველაფერი სწორად ვერ აღიქვას.

- და ამიტომ საჭიროა პედაგოგი, კონცერმაისტერი...

- აუცილებლად. ეს არის ხანგრძლივი, ურთულესი და ეტაპობრივი პროცესი. ზოგჯერ ასწავლი და მერვე წელს გეუბნება, ახლა ვიგებ, მაშინ რას მეუბნებოდითო. ზოგი ადრე, ზოგი - გვიან, ზოგიც კიდევ საერთოდ ვერ იგებს... მარიამის კიდევ ის მომწონს, რომ ის ძალიან მარტივად ესაუბრება, გასაგებად უხსნის ყველაფერს ახალგაზრდა მომღერლებს, არ ურთულებს, ისედაც რთულ საქმეს. თავადაც არაჩვეულებრივი მომღერალი იყო, კარგი სკოლა აქვს გავლილი როგორც საქართველოში, ისე მოსკოვში, სადაც დიდ თეატრში იყო სტაჟირებაზე, შემოვლილი აქვს მთელი ევროპა უდიდესი წარმატებით. აქ კიდევ, რაც საოპერო თეატრის, მომღერლების ირგვლივ ხდება, ყველაფერი მის მხრებზე გადადის. მიმაჩნია, რომ სწორედ მარიამის დამსახურებაა, რომ დღეს ბათუმში ასეთ მაღალ დონეზეა საოპერო ხელოვნება. რამდენი თქვენი მომღერალი წარმატებით გამოდის უცხოეთში და ეს ხომ მის მიერ ჩაყრილი საფუძველია, მისი დიდი დამსახურებაა?! ეს მან მოიყვანა ბათუმში აქამდე ეს ხელოვნება. ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმში ისეთი საოპერო კადრებია, რომ ეს ქალაქი ერთ, თუნდაც პატარა ოპერის შენობას ნამდვილად იმსახურებს. ხმების სიძლიერით, ტემბრით, დიაპაზონის მხრივ აქ ფანტასტიკური შესაძლებლობებია. ისინი რომ სწორი სკოლით მოდიან, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

- მარინა მეტრეველს მთელი საქართველო იცნობს. ის ბრწინვალე კონცერტმაისტერია. აქვს უამრავი დამსახურება. დიდი ხანია არ არის, რაც ლადო ათანელის კონკურსის ჟიურის წევრი იყო. ჰყავს აღზრდილი დიდი მომღერლები. გარდა იმისა, რომ იყო კონცერტმაისტერი, ასევე გახლდათ სოლისტი კონცერტისა, სადაც საფორტეპიანო ნაწარმოებებს ასრულებდა. მას დიდი ამაგი აქვს ჩემზე. როცა კონსერვატორია დავამთავრე, ბათუმში დაბრუნება მსურდა მიუხედავად იმისა, რომ მაღალი შეფასება მივიღე. ეს მისი დამსახურებაა, რომ მე სიმღერა გავაგრძელე. როცა ზურაბ სოტკილავამ მომისმინა, პირადად დარეკა კულტურის სამინისტროში და განაცხადა, რომ თავის თავზე იღებდა ჩემს სტაჟირებას და დიდ თეატრში მიმიწვია კიდეც. შემდეგ თბილისის ოპერის თეატრში რობერტ სტურუამ და ჯანო კახიძემ შემომთავაზეს მემღერა „ქეთო და კოტეში“. ამის შემდეგ ჩემი კარიერა წინ წავიდა. ჩემს გარდა მას აღზრდილი ჰყავს მზია დავითაშვილი, ნაირა ნაჩხატაშვილი, სოლო კონცერტებს მართავს ლადო ათანელთან, გიორგი გაგნიძესთან, ბევრ წარმატებულ მომღერალთან. მისი ძალიან ბევრი სტუდენტი უცხოეთში მოღვაწეობს. აქ კარგი სტაჟიორები და სოლისტები დავახვედრე. ძალიან მოეწონა ნონა კორიფაძე, როგორ გაზრდილიაო, ახალგაზრდებით ხომ აღფრთოვანდა. ბევრი იმუშავა ფრაზირებაზე, შესრულებაზე, რიტმზე... ის ამ სტატუსით და ოფიციალური მოწვევით, პირველად ჩამოვიდა ბათუმში. მას მანამდეც ვიწვევდით პრემიერების წინ, მაგრამ მაშინ სტუმრის სტატუსით გვესწრებოდა. როცა ნანა ძიძიგურმა ბათუმში გიზო ჟორდანიას დადგმულ „კარმენში“ იმღერა (ის ახლა გერმანიაში მოღვაწეობს), მასთან იმუშავა როგორც კონცერტმაისტერმა. ძალიან ნაყოფიერი იყო მისი ჩამოსვლა. დაიგეგმა ბევრი რამ, მათ შორის, კონცერტები თბილისში, ასევე, პერიოდულად ჩვენი სოლისტების მასთან მუშაობა, - გვითხრა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა და ვოკალის პედაგოგმა, ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა მარიამ ჯახუტაშვილმა.

- ჩემი აზრით, მასტერკლასი დამწყები მომღერლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პროფესიონალთან მუშაობა კი ძალიან ნაყოფიერი. რაკი მასტერკლასი ჰქვია, შენც უფრო სერიოზულად და მონდომებით უდგები. ქალბატონ მარინასთან, ასეთ გამოცდილ პროფესიონალთან მუშაობა, ძალიან საინტერესო იყო, - თქვა ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრატურის მეორეკურსელმა დავით დიასამიძემ.

ტურისტული ობიექტი – კოტაჯვარზე

თამაზ მგზამრიძე 27 48 93

ჩაოდან გამართისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს არსებულ ტერიტორიას ადგილობრივები კოტაჯვრის სახელით იცნობენ. ლეგენდის თანახმად, აქ ჯვარი და მართლმადიდებლური სამლოცველო ყოფილა

ოსმალები მღვდელ კონსტანტინეს საღვთო რიტუალების აღსრულებას უკრძალავდნენ. იგი ახალდაქორწინებულებს ღამით მალულად ჯვარს წერდა.

ხულოელმა არქიტექტორმა რამინ შავაძემ ამ ტერიტორიის შესაფერისი ტურისტული პროექტი შეიმუშავა. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხა გამოყო და... ახლა სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. იგი შემოდგომაზე დასრულდება და ხულოს მუნიციპალიტეტს, ერთი ტურისტული ლოკაცია შეემატება.

გარემოს დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ნებართვა გასცა

გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ფარგლებში, „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ უფლება მიეცა, განახორციელოს ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოები. პროექტის განხორციელების შემთხვევაში პრაქტიკულად გამორიცხული იქნება სანაპირო ზოლში ეროზიული პროცესების განვითარება და, შესაბამისად, საავტომობილო გზის, ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიისა და არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკები. ბათუმში „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ პროექტი ულტრათანამედროვე გასართობ-გამაჯანსაღებელი ტიპის ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის, ერთი კუნძულის შექმნასა და მათზე ინფრასტრუქტურის მოწყობას მოიცავს. აღნიშნული უმსხვილესი საინვესტიციო პროექტის განხორციელებისთვის გასული წლის 29 სექტემბერს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აჭარის მთავრობას შორის საინვესტიციო ხელშეკრულება გაფორმდა.

ამირან გურიელიძე